შეთანხმებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
შეთანხმების № **11,** 19 სექტემბერი 2022 წელი
პრორექტორი /ასოც. პროფ. დოქტ. ნინო ჯოჯუა/
განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
ოქმი №48, „20“ „სექტემბერი“, 2022 წელი
ფაკულტეტის დეკანი /პროფ. დოქტ. თამარ შიოშვილი/
დამტკიცებულია მმართველი საბჭოს სხდომაზე
ოქმი №**31**, „**26**“ „სექტემბერი“, 2022 წელი

რექტორი / დოქტ. საფფეტ ბაირაქთუთან/

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ამერიკისმცოდნეობა

თბილისი
2022 წელი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ამერიკისმცოდნეობა (ინგლისურენოვანი) American Studies
ფაკულტეტი: სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: აფილირებული პროფესორი თამარ შიოშვილი, ფილოლოგიის დოქტორი
ტელეფონი 259-50-05/145; ფაქსი: 259-50-08; მობილური: (+ 995) 593 50 41 06
ელექტრონული ფოსტა: tshioshvili@ibsu.edu.ge
უმაღლესი განათლების საფეხური და კვალიფიკაციის დონე: დოქტორანტურა (უმაღლესი განათლების III საფეხური)ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო - დონე 6
განათლების საფეხური: დოქტორანტურა (უმაღლესი განათლების III საფეხური)
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური ძირითადი
მიმართულება/დარგი / სპეციალობა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად: 11 მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები; 1104 რეგიონმცოდნეობა/110402 ამერიკისმცოდნეობა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ამერიკისმცოდნეობის დოქტორი (Doctor of American Studies) კვალიფიკაციის კოდი: 110402
სწავლების ენა: ინგლისური
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 60 ECTS კრედიტი (სასწავლო კომპონენტი)
პროგრამის სტრუქტურა: უნივერსიტეტი იყენებს კრედიტების ტრანსფერის ევროპულ სისტემას (ECTS): 1 კრედიტი = 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც საკონტაქტო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი

პროგრამა მოიცავს 60 კრედიტ სასწავლო კომპონენტს და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს-დისერტაციას:

- სავალდებულო სასწავლო კურსები შეადგენს 50 კრედიტს. 5 საგანი 10 ECTS კრედიტის ოდენობით.
- არჩევითი სასწავლო კურსი თითო შეადგენს 10 კრედიტს. პროფესორის ასისტირება არჩევითია. მისი არჩევა ევალებათ მათ, ვისაც არა აქვს უმაღლესი განათლების დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილების სულ ცოტა ერთი წელი; ვისაც ეს გამოცდილება აქვს აირჩევს XX საუკუნის ამერიკულ ლიტერატურას;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროგრამის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კანდიდატი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას C1 დონეზე, რომელიც დადასტურებულია ერთ-ერთი საერთაშორისო სერტიფიკატით ან ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე სწავლით. კანდიდატს შეუძლია ჩააბაროს შესაბამისი დონის გამოცდა შზსუ-ში. საუნივერსიტეტო წესის მიხედვით, სადოქტორო პროგრამაზე სწავლის კანდიდატებმა უნდა წარადგინონ კვლევის გეგმა, რომლის პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობას ქვემოთ მოტანილი რუბრიკის მიხედვით ადასტურებს პროგრამის ხელმძღვანელი და დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს სულ ცოტა 3 წევრისგან შედგენილი კომისიადა გაიაროს ინტერვიუ / ზეპირი პრეზენტაცია ამავე კომისიის წინაშე.

თუ სერტიფიკატით/გამოცდით არ დასტურდება ინგლისური ენის ცოდნის C1 დონე, მაგრამ კანდიდატის ინგლისური ენის ცოდნის დონე შეიძლება შეფასდეს როგორც უფრო მაღალი ვიდრე B2 დონე და კანდიდატი ამჟღავნებს ინგლისური ენის ცოდნის მაღალ დონეს კვლევის გეგმის განხილვისას, რომლის მოთხოვნებთან შესაბამისობას ადასტურებს დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს სულ ცოტა 3 წევრისგან შედგენილი კომისია, როგორც გამონაკლისი, კანდიდატს შეიძლება მიეცეს უფლება კომისიის წინაშე გაიაროს ზეპირი ინტერვიუ ინგლისურ ენაში და დადებითი შეფასების შემთხვევაში დაშვებული იქნას პროგრამაზე.

ჯგუფში სტუდენტთა დასაშვები რაოდენობაა არაუმეტეს 12.

კვლევის გეგმის შეფასების კრიტერიუმები

შეფასების კრიტერიუმები /	**არ შეესაბამება**	**არადამაკმაყოფილებელი**	**დამაკმაყოფილებელი** (არსებითი ცვლილებებით)	**დამაკმაყოფილებელი** (უმნიშვნელო ცვლილებებით) **Acceptable**	**დამაკმაყოფილებელი**
	0	**1-3**	**4-6**	**7-9**	**10-12**
სათაური: არც ზედმეტად კონკრეტული და არც ზედმეტად ზოგადი; ტერმინები ადეკვატურადაა გამოყენებული; ჟღერს თანამედროვედ					
აქტუალობა და სიახლე: თემა თანამედროვეა, ნაკლებად შესწავლილი; სიახლისა და აქტუალობის პოტენციალი წარმოდგენილია					
თეორიული და პრაქტიკული ღირებულება: წარმოდგენილია თუ რა გავლენა ექნება კვლევას დარგზე					

ლიტერატურის მიმოხილვა:	
წარდგენილია ძირითადი მიღწევები მოცემულ პრობლემაზე; ლიტერატურის სია მოიცავს სულ ცოტა 10 მნიშვნელოვან დასახელებას	
საკვლევი კითხვები / ჰიპოთეზა არის ორიგინალური და კარგად ჩამოყალიბებული	
კვლევის მეთოდები	
შეესაბამება თემას და კარგად არის განსაზღვრული	
ენობრივი კომპეტენცია	
პუნქტობრივი ჯამური შეფასება	
საბოლოო შეფასება:	

* კანდიდატი, რომელიც მიიღებს სულ ცოტა 51 ქულას წინა კრიტერიუმების მიხედვით, დაიშვება ინტერვიუზე; კანდიდატს, რომელიც მოაგროვებს 41-50 ქულას, შეუძლია ხელახლა შემოიტანოს გეგმა საბუტების ჩაბარების მითითებულ ვადებში.
**კანდიდატი, რომელიც ინტერვიუში მოაგროვებს სულ ცოტა 9 ქულას, შეიძლება მიღებულ იქნას პროგრამაზე.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

ამერიკისმცოდნეობის მულტიდისციპლინარული და ამავდროულად ინტერდისციპლინარული პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს საშუალება შეისწავლოს და გააანალიზოს ამერიკული საზოგადოების სხვადასხვა ასპექტები ეთნოსის დინამიკის, ემიგრაციის, პოლიტიკისა და ლიტერატურის კუთხით; ამ სფეროს უნიკალური სპეციფიკით და ინტერაქტიული მეთოდების მეშვეობით პროგრამა ჩამოუყალიბებს სტუდენტს ანალიტიკურ აზროვნებას, კრიტიკული ანალიზის ჩვევას სხვადასხვა კონტექსტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, რაც მთელ მსოფლიოს და რა თქმა უნდა საქართველოს აინტერესებს ზესახელმწიფოსთან მიმართებაში.

პროგრამა მიზნად ისახავს განავითაროს სტუდენტის შესაძლებლობები იფიქროს, ისაუბროს, დაწეროს სადოქტორო დისერტაცია ეფექტურად და კრეატიულად; განუვითაროს სოციალურ, ეთიკურ და მორალურ ფასეულობათა პატივისცემა; კომუნიკაციის, გადაწყვეტილების მიღების უნარები, პასუხისმგებლობა და მეცნიერული თვითგანათლების უნარი;

შეუქმნას სტუდენტს ყველა პირობა სამეცნიერო აკადემიური და კარიერული წინსვლისათვის ისეთ ორგანიზაციებში, როგორებიცაა: უნივერსიტეტები, საელჩოები, საგარეო საქმეთა სამინისტრო, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფისები, სახელმწიფო ადმინისტრაციული აპარატი, კულტურის დეპარტამენტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პარლამენტი, მუზეუმები, არქივი, სადაც დანერგავენ მეცნიერულად დაფუძნებულ სიახლეებს.

პროგრამა პასუხობს ინტერნაციონალიზაციის მოთხოვნებს: 1. დოქტორანტები არიან აშშ-დან და ევროპიდან; 2. 2010 წლიდან ამერიკელი პროფესორები ინიშნებიან დოქტორანტების ოპონენტებად; 3. 2017 წლიდან დოქტორანტებს ენიშნებათ დამატებით ამერიკელი თანახელმძღვანელები; 4. ამერიკელი პროფესორები კითხულობენ პროგრამის კურსებს: ა) XX საუკუნის ამერიკის პოლიტიკის ისტორია; ბ) XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებულს ექნება: • ამერიკის მულტიკულტურალიზმის, ემიგრაციის, ისტორიის, XX საუკუნის პოლიტიკური ისტორიის, XX საუკუნის ლიტერატურული მიმდინარეობების ღრმა ცოდნა; • მულტიკულტურალიზმის, პოლიტიკის, ლიტერატურული ტერმინებისა და ასევე თეორიების ცოდნა, რაც საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად იმუშაოს საკვლევ ლიტერატურაზე, სახელმძღვანელოებზე, მონოგრაფიებზე, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებზე; • ამერიკისმცოდნეობის როგორც ინტერდისციპლინარული დარგის მსოფლიოში გავრცელებული უახლესი ტენდენციებიის ცოდნა; • დასავლური ღირებულებების ცოდნა, რაც ეხმარება მეცნიერული შეფასებების გაკეთებაში; სტუდენტი გააცნობიერებს ამერიკის შეერთებული შტატების განვითარებული დემოკრატიისათვის დამახასიათებელ ტოლერანტობას სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	კურსდამთავრებულს შეუძლია: • შეარჩიოს კვლევის თანამედროვე თემა ამერიკისმცოდნეობაში, ამ თემის ირგვლივ განახორციელოს ლიტერატურის მოძიება და ანალიზი, დასვას პრობლემური კითხვები, შეარჩიოს კვლევის ადეკვატური მეთოდები და შეიმუშაოს ჰიპოთეზა, შემდეგ კი შეამოწმოს მისი ნამდვილობა; • სტუდენტს შეუძლია მულტიდისციპლინარული საგნებიდან შერჩეული თემის კვლევის განხორციელებისას მიღებული შედეგი მოამზადოს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში სტატიის სახით პუბლიკაციისათვის; • მოამზადოს ანალიტიკური საკონფერენციო მოხსენებები ამერიკის მულტიკულტურალიზმის, პოლიტიკისა და ლიტერატურის საკითხებზე.

დასკვნის უნარი	კურსდამთავრებულს შეუძლია: • განახორციელოს ამერიკისმცოდნეობის სფეროსათვის დამახასიათებელი წაკითხული სამეცნიერო ლიტერატურის, მას-მედიიდან მიღებული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და შეფასება, მათზე დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღება და პრობლემების გადაჭრა; • გაავლოს პარალელები მშობლიურ და უცხო კულტურებს შორის, იპოვოს განსხვავებები და მსგავსებები და გააკეთოს სათანადო დასკვნები; • გამოიყენოს მიღებული ამერიკისმცოდნეობის მულტიდისციპლინარული და ინტერდისციპლინარული თეორიული ცოდნა ანალიზისათვის, შეიმუშაოს საკუთარი კვლევითი პლატფორმა (ანკეტები, ინტერვიუს საკითხები), თემის ფარგლებში ექსპერიმენტის დაგეგმვა და განხორციელება, შედეგების ინტერპრეტაცია.

კომუნიკაციის უნარი	კურსდამთავრებულს შეუძლია: • ამერიკისმცოდნეობის უახლეს თემატიკაზე აწარმოოს როგორც წერითი, ასევე ვერბალური კომუნიკაცია; • სხვა კულტურის წარმომადგენლებს გაუზიაროს საკუთარი მოსაზრებები და დაამყაროს კომუნიკაცია; • მიიღოს მონაწილეობა დებატებში და დისკუსიებში, კულტურათა დიალოგში; • წარადგინოს საკუთარი სამეცნიერო ნაშრომი პრეზენაციის სახით საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წინაშე კონფერენციაზე და დისერტაციის დაცვისას, გასცეს პასუხი დაინტერესებულ პირებს, მოახდინოს პროფესიული წერილობითი ურთიერთობა; • საკუთარი აზრის ეფექტურად მიტანა მსმენელამდე, მისი წარმოდგენა თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით.

სწავლის უნარი	კურსდამთავრებულს შეუძლია: • საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად დაგეგმვა; მისი დამოუკიდებლად განხორციელება და პროცესის მონიტორინგის წარმოება; • სწორი მიმართულებებით განსაზღვროს სწავლის პრიორიტეტები და კვლევის პროცესი.
ღირებულებები	კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს: • პატივისცემის გრძნობა ამერიკული და ამავდროულად სხვადასხვა ქვეყნის კულტურების, ტრადიციების, კანონებისა და წეს-ჩვეულებების მიმართ; • ტოლერანტობა კულტურული და ინდივიდუალური განსხვავებების მიმართ. იგი იზიარებს ჰუმანიზმის და ლიბერალიზმის პრინციპებს და მათ დასამკვიდრებლად შეიმუშავებს ახალ, ინოვაციურ მეთოდებს.

სწავლის შედეგების რუკა:

სასწავლო კურსი / მოდული / პრაქტიკა/კვლევითი კომპონენტი	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
უმაღლესი განათლების პედაგოგიკა	x	x	x	x	x	x
კვლევის მეთოდების უმაღლესი საფეხური	x	x	x	x	x	x
სემინარი ამერიკისმცოდნეობაში	x	x	x	x	x	

პროფესორის ასისტირება	x	x	x	x	x	x
XX საუკუნის ამერიკის პოლიტიკის ისტორია	x	x	x	x	x	x
ამერიკული ეთნოსი	x	x	x	x	x	x
XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა	x	x	x	x	x	x
დისერტაცია	x	x	x	x	x	x

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:

- **ვერბალური, ანუ სიტყვიერი მეთოდი** - ახალი მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად, თხრობითი სახით, რომლის დროსაც კომპლექსურად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი თემატიკის შინაარსიდან გამომდინარე; სტუდენტ-დოქტორანტები იყენებენ ვერბალურ მეთოდს, როცა უსმენენ ლექციებს, მონაწილეობენ სემინარებში, აკეთებენ პრეზენტაციებს და წერენ მოხსენებებსა და დისერტაციას, იცავენ მას. ძირითადად გადის ცოდნისა და გაცნობიერების, ასევე კომუნიკაციური უნრას სწავლის შედეგზე.
- **წიგნზე მუშაობის მეთოდი**, რომელიც ძირითადად სწავლის პროცესში გამოიყენება. სტუდენტი ამუშავებს თემატიკისათვის საჭირო მასალას მითითებული ლიტერატურის და სხვა წყაროების გამოყენებით; ასევე სტუდენტ-დოქტორანტი იყენებს ამ მეთოდს სტატიებისა და დისერტაციის დასაწერად ლიტერატურაზე მუშაობისას. მას. ძირითადად გადის ცოდნისა და გაცნობიერების,სწავლის უნარის, ასევე კომუნიკაციური უნრას შედეგზე.
- **დემონსტრირების მეთოდი**, რომელიც ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად. ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს; ადგილი აქვს სურათების, ცხრილებისა და გრაფიკების, ვიდეო მასალის და გატამასებული ეპიზოდების (როლების გათამაშება) გამოყენებას. გადის ცოდნისა და გაცნობიერების, ცოდნის პრაქტიკასი გამოყენების და დასკვნის უნარზე.
- **დისკუსია/დებატები** - ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს. გადის დასკვნისა და კომუნიკაციურ უნარზე, აყალიბებს და ავითარებს ღირებულებებს.
- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში; გადის სწავლის, დასკვნისა და კომუნიკაციურ უნარზე, აყალიბებს და ავითარებს ღირებულებებს.

- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება** (PBL) - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას
- **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან; გადის სწავლის, დასკვნისა და კომუნიკაციურ უნარზე.
- **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი** - სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ. გადის დასკვნის უნარზე.
- სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას;
- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები** - მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია. გადის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარზე.
- **შემთხვევების შესწავლა** (ე.წ. case study) - აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავვლება კონკრეტული ამოცანების-სიტუაციების გადაჭრის გზით. ეს მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალიტების განხილვაზე და ანალიზზე. 'ქეისი' არის ინსტრუმენტი, მომლის საშუალებითაც ხდება თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. თეორიისა და პრაქტიკის შედარებით, მეთოდი ეფექტიანად ავითარებს დასაბუტებული გადაწყვეტილებების მოკლე დროში მიღების უნარს. სტუდენტებს უვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების,

ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადოებული გადაწყვეტილებების შემუშავების, მოქმედების დაგეგმვისა და მატი შედეგების პროგნოზიტების უნარი. გადის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და დასკვნის უნარზე.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

სასწავლო კომპონენტში სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის შესაბამისი შეფასების არანაკლებ 30%.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო სასწავლო კომპონენტის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება ხორციელდება მთლიანობაში, ერთიანად, დასკვნითი შეფასების სახით. აღნიშნული მოიცავს განმავითარებელი შეფასების ეტაპს (ექსპერტების შეფასება და წინა დაცვაზე წარდგენა) და დაცვაზე მიღებულ შეფასებას.

სადოქტორო ნაშრომის შეფასება **დაცვისას** ხდება შემდეგი კრიტერიუმებით:

	კრიტერიუმი	მაქსიმალური შესაძლებელი შეფასება	მინიჭებული ქულა

1	აქტუალობა	10	
2	კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა	10	
3	მისი თეორიული მნიშვნელობა	10	
4	სიახლე	10	
5	საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა	15	
6	კვლევის შედეგების დამაჯერებლობა (ექსპერიმენტის /მონაცემების სტატისტიკური დამუშავება, მსჯელობა)	5	
7	დაცვისას მასალის პრეზენტაცია (ლოგიკური მსჯელობა, პრეზენტაციის სტრუქტურა, მკაფიო მეტყველება, დისერტაციის ძირითადი დებულებების წარმოდგენა და ა.შ.)	15	
8	დაცვის პროცესში კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, ტერმინოლოგიის ფლობა	15	
9	დაცვისას გამოყენებული თვალსაჩინოების ეფექტურობა	10	

სულ	**100**	დაიცვა / ვერ დაიცვა

შეფასების 1-6 კრიტერიუმი მოიცავს როგორც დისერტაციას, ისე პუბლიკაციებს. დეტალური რუბრიკები წარმოდგენილია სილაბუსებსი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა:
ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

ზემოთ მოყვანილი „ა“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი, „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წადგენის უფლება, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სწავლების ორგანიზების თავისებურებები:

დოქტორანტურის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. პირველ წელი გათვალისწინებულია სასწავლო კომპონენტების შესასრულებად, რაც ნიშნავს სტუდენტების მიერ კურიკულუმით შეთავაზებული საგნებით 60 კრედიტის დაგროვებას.

კრედიტების დაანგარიშების საფუძვლად აღებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემა (ECTS): 1 კრედიტი = 25 სთ.

ამ სადოქტორო პროგრამაზე სავალდებულო და არჩევითი საგნები 10 კრედიტიანია. სტუდენტები გაივლიან მთლიანობაში 6 საგანს (60 კრედიტი). I სემესტრში - 30 კრედიტი და II სემესტრში - 30 კრედიტი. საგანმანათლებლო პროცესი პროგრამაზე მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე, ყველა კურსი იკითხება ინგლსურ ენაზე, ასევე დისერტაცია იწერება ინგლისურ ენაზე.

დაცვამდე დოქტორანტს უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული 3 სტატია, მათგან: ორი რეფერირებულ სამეცნიერო ჟურნალში, ან საერთაშორისო სამცნიერო კონფერენციის მასალებში და ერთი ინდექსირებულ ჟურნალში (SPRINGER, Thomson-Reuters Copernicus, Web of Science, Elsevier's Scopus, SAGE ამათგან რომელიმეში). დოქტორანტის დეისრტაცია რომ შეფასდეს დადებითად, ის უნდა იყოს დამოუკიდებლად შესრულებული ორიგინალური ნაშრომი, რომელიც მოიცავს ლიტერატურულ მიმოხილვას ისტორიულ და თანამედროვე რაკურსში, თემის არჩევანის არგუმენტირებას, ანალიტიკურ კვლევას და კვლევის სტატისტიკურ მონაცემებს. დისერტაცია უნდა შეიცავდეს სიახლეს, აქტუალობას, სამეცნიერო/თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას, ჰიპოტეზას. პლაგიარიზმის შესამოწმებლად შეიქმნება კომისია ხელმძღვანელის, ექსპერტის და ინფორმაციული ტექნოლოგიის სპეციალისტის შემადგნელობით, რათა დაცული იქნეს აკადემიური პატიოსნება პლაგიარიზმის შეფასების შესაბამისი პროგრამის მეშვეობით. 2018 წლიდან ჩარიცხულ დოქტორანტებს დაენიშნებათ ხელმძღვანელი პირველივე სემესტრიდან.

დასაქმების სფერო:

სადოქტორო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა იმუშაოს:

- ლექტორად უმაღლეს სასწავლებლებში; სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში,

- საჯარო სამსახურში: საგარეო საქმეთა სამინისტროში საგარეო ურთერთობების კომიტეტებში, ნატოს დეპარტამენტში,

ამერიკის საელჩოში, ამერიკულ და სხვა უცხოურ ორგანიზაციებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ

შზსუ-ს მატერილაურ-ტექნიკური ბაზა. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ელექტრონულ ბიბლოითეკასა და ამერიკისმცოდნეობის ცენტრის ძვირადღირებულ ბიბლიოთეკაში, რომელიც აჩუქა ამერიკის სალეჩომ ამერიკისმცოდნეობის დეპარტამენტს. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე სასწავლო კურსების გახსნისას განთავსებული იქნება ლექტორების მიერ სასწავლო თემატიკის შესაბამისი სლაიდ-შოუები, ყველა აუდიტორია აღჭურვილია პროექტორით სლაიდ-შოუს ჩვებენისათვის.

სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	სტატუსი	კრედიტების რაოდენობა	კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით													საათების განაწილება	
				I ს.წ.		II ს.წ		III ს.წ			საკონტაქტო							
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	ლექცია/კონსულტაცია	სემინარი/ჯგუფური მუშაობა/ პრაქტიკული /ლაბორატორიული სამუშაო	შუალედური გამოცდ(ა/ები)	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო	დამოუკიდებელი მუშაობა	ჯამური საათები	საკონტაქტო საათების რაოდენობა კვირაში
I	სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კომპონენტი	სავალდებულო	50	30	20	30	30	30	30	70	66	11	11	163	1087	1250	8
1	უმაღლესი განათლების პედაგოგიკა	სავალდებულო		10						15	13	2	2	32	218	250	2
2	კვლევის მეთოდების უმაღლესი საფეხური	სავალდებულო		10						15	27	3	3	48	202	250	2
3	XX საუკუნის ამერიკის პოლიტიკის ისტორია	სავალდებულო		10						15	13	2	2	32	218	250	2
4	ამერიკული ეთნოსი	სავალდებულო			10					15	13	2	2	32	218	250	2
5	სემინარი ამერიკისმცოდნეობაში	სავალდებულო			10					15	0	2	2	19	231	250	5 საათი

																	გადანაწილებულია 15 კვირის განმავლობაში
II	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კომპონენტი	არჩევითი	10		10					15	13	2	2	32	218	250	2
7	XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა *	არჩევითი			10					15	13	2	2	32	218	250	2
8	პროფესორის ასისტირება **	არჩევითი			10					0	30	0	2	32	218	250	2
სულ			60	30	30	30	30	30	30	90	199	13	13	195	1305	1500	18
III	სავალდებულო კვლევითი კომპონენტი	სავალდებულო															

შენიშვნა:

1. რადგან ორ არჩევით საგანს არ აქვს საათების ერთნაირი განაწილება ჯამური საათების გაანგარიშებისას, პირობითად ვიღებთ პირველი სასწავლო კურსის მონაცემებს.
2. * XX საუკუნის ამერიკულ ლიტერატურას აირჩევენ იმ შემთხვევაში თუ აქვთ უმაღლესი განათლების დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება.
3. ** პროფესორის ასისტირება არჩევითია. მისი არჩევა ევალებათ მათ, ვისაც არა აქვს უმაღლესი განათლების დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილების სულ ცოტა ერთი წელი; ვისაც ეს გამოცდილება აქვს აირჩევს XX საუკუნის ამერიკულ ლიტერატურას;

წინაპირობების ცხრილი:

სასწავლო კომპონენტი	წინაპირობა			
უმაღლესი განათლების პედაგოგიკა	–	–	–	–
კვლევის მეთოდების უმაღლესი საფეხური	–	–	–	–
სემინარი ამერიკისმცოდნეობაში	–	–	–	–
პროფესორის ასისტირება	–	–	–	–
XX საუკუნის ამერიკის პოლიტიკის ისტორია	–	–	–	–
ამერიკული ეთნოსი	–	–	–	–
XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა	–	–	–	–
დისერტაცია	სტუდენტი სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის სემესტრში უნდა ასრულებდეს პროგრამის ყველა სავალდებულო/სასწავლო კომპონენტს.			

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ:

სასწავლო კურსი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
უმაღლესი განათლების პედაგოგიკა	ნათელა დოღონაძე	აფილირებული პროფესორი განათლების მიმართულებით
კვლევის მეთოდების უმაღლესი საფეხური	ირინე ბახტაძე	აფილირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით

სემინარი ამერიკისმცოდნეობაში	პროგრამაში ჩართული ნებისმიერი აკადემიური პერსონალი	დოქტორი, ასოცირებული პროფესორი / პროფესორი
პროფესორის ასისტირება	პროგრამაში ჩართული ნებისმიერი აკადემიური პერსონალი	დოქტორი, ასოცირებული პროფესორი / პროფესორი
XX საუკუნის ამერიკის პოლიტიკის ისტორია	თეა ჭუმბურიძე	აფილირებული ასოცირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით
ამერიკული ეთნოსი	თამარ შიოშვილი	აფილირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით,
XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა	გიორგი შადური	აფილირებული ასოცირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით
სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი	დუი ბროუდერი	მოწვეული. ფილოსოფიის დოქტორი (აშშ)

	ორი სოლტესი	მოწვეული. ფილოსოფიის დოქტორი (აშშ) ჯორჯტაუნის უნივერსიტეტი
	ბრიუს მაკოტო არნოლდი	მოწვეული. ფილოსოფიის დოქტორი. აშშ. ოჰაიოს უნივერსიტეტი.
	თამარ შიოშვილი	აფილირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით
	გიორგი შადური	აფილირებული ასოცირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით
	ელისაბედ ბროკინგი, აშშ	მოწვეული ლექტორი, ლიტერატურის დოქტორი
	ნათელა დოღონაძე	აფილირებული პროფესორი განათლების მიმართულებით
	ირინა ბახტაძე	აფილირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით,
დისერტაცია	პროგრამაში ჩართული ნებისმიერი აკადემიური პერსონალი	დოქტორი, ასოცირებული პროფესორი / პროფესორი

სასწავლო გეგმის დამატებითი ცხრილი

№	სასწავლო კურსი პრაქტიკული/კვლევითი კომპონენტი	კოდი	სემესტრი	წინაპირობა	ლექტორი
1	უმაღლესი განათლების პედაგოგიკა	AMS703	I	-	აფილ. პროფ. დოქტ. ნათელა დოღონაძე
2	კვლევის მეთოდების უმაღლესი საფეხური	AMS702	I	-	აფილ. პროფ. დოქტ. ირინე ბახტაძე/აფილ. პროფ. დოქტ. ნიკოლოზ ფარჯანაძე

3	XX საუკუნის ამერიკის პოლიტიკის ისტორია	AMS701	I	-	აფილ. ასოც. პროფ. დოქტ. თეა ჭუმბურიძე
4	ამერიკული ეთნოსი	AMS704	II	-	აფილ. პროფ. დოქტ. თამარ შიოშვილი
5	XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა	AMS705	II	-	აფილ. ასოც. პროფ. დოქტ. გიორგი შადური/ ელისაბეთ ბროკინგი, დოქტორი, აშშ
6	პროფესორის ასისტირება	AMS706	II	უმაღლესი განათლების პედაგოგიკა	პროგრამაში ჩართული ნებისმიერი აკადემიური პერსონალი
7	სემინარი ამერიკისმცოდნეობაში	AMS708	II	-	პროგრამაში ჩართული ნებისმიერი აკადემიური პერსონალი
8	დისერტაცია	DIS700	VI	დისერტაცია	სამეცნიერო ხელმძღვანელი